

ქებათა-ქება

სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით
და ნეტარებას მიმრავლკაცებს
მიდამო მისის მშვენიერებით.

ვიმ ამ სალამოს,
მშვიდსა, საამოს,
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!..
რა უცნაურად,
მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,

რომ საიდუმლო
სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს
და, სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს!

აჰა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით,
და ეს ქვეყანა,
ყოვლგნით ყველგანა,
თავს უხრის შექმნილს მაღლით საგრძნობით!

დახეთ ამ მთვარეს,
სხივმომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსო!..
მოკაშკაშენი,
მოთამაშენი,
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა.

ძალთა დიდება,
შექმნათა ქება,
არს საიდუმლო მათი ვედრება.
ქვეყნით ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია ნქებათა-ქებან.
ყვავილთა ენა დ
არ სუნნელთ ფშვენა,
საგალობელად აღმა კმეული,

წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რალაც გრძნეული,

ბუნების მაყრულს,
საქორწილოდ სრულს,
ეკავაშირება, ზე ემატება, დ
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!...

რამ ამამალლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?! დ

შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!...

შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს,
და შენ მაგიერ შენი სახელით
ის აღიარებს პირუტყვულ წამებს!

შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...
შენგან მსგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა,

რომ მეც, გედივით, სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო...
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო.

მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა!...
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!...

ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი იოცნება...
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატოსნება!...

როცა ჭაბუკი გამოუცდელი
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,
იმაში შენათხზ-შეერთებულად;

და, საამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი,
დღესაც თაყვანს-ვცემ, როგორც პირველად,
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!...

სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა!...
ემატა სოფელს მშვენიერება
ჩემს თვალში მისის სიყვარულითა!...

1882-1900 წწ.